



გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გეომედი ლაიფი Geomedi Life



№8 (9) 2023 წელი

უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი



საერთაშორისო პროექტ „SPINAKEE“-ში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტ გეომედის ათი სტუდენტი 21 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით პოლონეთს სტუმრობდა. ვიზიტი ორგანიზებული იყო გეომედის პარტნიორი შიედლცეს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების უნივერსიტეტის მიერ.

ამ პროექტის სალექციო კურსში „Brand Management on the International Market-Polish Experience“ მონაწილეობა მიიღო ევროპისა და კავკასიის რეგიონის ქვეყნების სამოცამე სტუდენტმა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდათ სემინარები მარკეტინგის, ბრენდის მენეჯმენტის და საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების მიმართულებით. სტუდენტები მენეჯმენტის ევროპული სტანდარტების გასაცნობად ესტუმრნენ პოლონეთის ცნობილ საწარმოებს. პროგრამა ასევე მოიცავდა პოლონეთის ღირსშესანიშნავი ადგილების გასაცნობად შემეცნებით ექსკურსიებს. პროექტის ბოლოს ჩატარდა კონფერენცია, სადაც სტუდენტებმა შეაჯამეს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა-გამოცდილება. კონფერენციის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პოლონეთს უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალიც სტუმრობდა. შეხვედრები გაიმართა ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის და შიედლცეს

საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან. შეხვედრებზე განხილული იყო მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობითი გეგმები. შეხვედრებმა საქმიან და მეგობრულ გარემოში ჩაიარა.

„მადლობელი ვარ, რომ მომეცა შანსი მონაწილეობა მიმეღო ამ პროექტში. ერთი თვის განმავლობაში ვისწავლეთ თუ რა არის ბრენდის მენეჯმენტი, როგორ გავუმკლავდეთ ბრენდის კრიზისს, რა ხრიკების გამოყენება არის შესაძლებელი ბრენდის შექმნისას, როგორ ვაწარმოოთ მოლაპარაკებები და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გავიცანით უამრავი ადამიანი და გავიგეთ მეტი პოლონური კულტურის შესახებ“.



ანა გოგავა

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი

„SPINAKEE“-ის პროექტი დიდი გამოწვევა იყო ჩემს ცხოვრებაში. ამ პროექტში მონაწილეობამ საკმაოდ კარგი გამოცდილება მომცა, უაღრესად კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტით, ჩატარებული ლექციებით და იმ გასვლითი ტურებით, რომელმაც ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა პოლონეთის კულტურაზე, ბიზნესსა და მარკეტინგში არსებულ სიტუაციაზე. ვეწვიეთ და გავიცანით რამდენიმე ცნობილი ბრენდისა და საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიას, რაც პრაქტიკული უნარების სწავლების საუკეთესო საშუალება იყო. ასევე, მოგვცა შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან ურთიერთობის, გამოცდილების გაზიარების და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესების.

მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის. მადლობა უნივერსიტეტ გეომედს, ქალბატონ მარინა ფირცხალავას, დეკანატის წარმომადგენლებს ბატონ თორნიკე ხოშტარას, ქალბატონ ხათუნა ჯოხაძეს და ქალბატონ ნანა გვენეტაძეს გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.

სამომავლოდაც დიდი სიხარულით მივიღებდი მონაწილეობას მსგავს პროექტებში. ეს მართლაც საუკეთესო შესაძლებლობაა თითოეული სტუდენტისთვის გამოვადოს საკუთარი უნარები და მიიღოს საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ორი კვირა თოთოეული განსაკუთრებული და საოცარი დღით დაუვიწყარ მოგონებად დარჩება ჩემს გულში“.

მარიამ ჭულუხაძე

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სტუდენტი

„პირველ რიგში, დიდ მადლობას გადავუხდით უნივერსიტეტ გეომედს ამ იდეალური შესაძლებლობისთვის. პოლონეთში ვიზიტმა უდიდესი გავლენა, ემოცია და ბედნიერი დღეები შემეძინა ჩემს სტუდენტურ ცხოვრებას. გაიცნო რაღაც ახალი და გახდეს მისი ნაწილი მეტად სასიამოვნო პროცესია. მალიან კარგად იყო შედგენილი პროგრამა, თავისივე გასვლითი ღონისძიებებით. ყოველთვის მემახსოვრება შიედლცეს უნივერსიტეტი, მათი ლექტორები, სტუდენტები, ქალაქი შიედლცე და თავად პოლონეთი, როგორც იდეალური სურათი, რომელმაც ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში ლამაზი მოგონება შექმნა, რომლის გახსენებაც ყოველთვის დიდ ბედნიერებას მომიტანს“.

თინათინ ლაფანაშვილი


ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სტუდენტი

„SPINAKEE“-ის პროექტმა შესაძლებლობა მომცა სხვა რაკურსით დამენახა ჩემი მომავალი პროფესიული კარიერა, გამიფართოვა თვალსაწიერი და კიდევ უფრო მეტი მოტივაციით დამზუხტა. ეს იყო საუკეთესო შესაძლებლობა და გამოწვევა. ვფიქრობ, ხშირად საჭირო მსგავსი ტიპის პროექტებში მონაწილეობა, ვინაიდან, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა ეზიაროს სხვა ქვეყნის კულტურას, მის ფასეულობებს, პრიორიტეტებს. იხვეწება ურთიერთობები და იქმნება ყველაზე ღირებული-პროფესიული პრაქტიკა. პოლონეთში გატარებულმა ორმა კვირამ, იქ ჩატარებულმა ლექციებმა, გასვლითმა ღონისძიებებმა, ლექტორების თბილმა დამოკიდებულებამ ცხადყო, რომ დრო ტყუილად არ დამიკარგავს და ეს ყველაფერი ნამდვილად ღირდა. მალიან დიდხანს გამყვება ტკბილ მოგონებად თითოეული ძვირფასი წუთი, რომელსაც სათუთად გავუფრთხილდები!“

დიდი მადლობა უნივერსიტეტს ამ შანსისთვის, გამორჩეული მადლობა კი ჩემს დეკანს - ბატონ თორნიკე ხოშტარას!“

ლილი გოგნაძე

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სტუდენტი



2022 წლის 15 დეკემბერს, უნივერსიტეტ გეომედი საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული N 18 კონფერენცია. სტუდენტებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. დამსწრე საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო გამართულ დისკუსიაში. ჟიურის მიერ გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებული სტუდენტები:

I ადგილი - სვარალი ჩონდევარ (მედიცინის ფაკულტეტი);

II ადგილი - სალომე სანიკიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი;

III ადგილი - ქეთევან ჭილაძე (სტომატოლოგიის ფაკულტეტი);


ჟიურის სიმპათია - მარიამ ჭულუხაძე (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი).

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები. გამარჯვებული სტუდენტები კი სტიპენდიებით დაჯილდოვდნენ. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება უნივერსიტეტ გეომედის კრებულში: „სტუდენტთა

თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“-ს დეკემბრის ნომერში.

16 დეკემბერს კი გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „მედიცინა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის აფილირებულმა პროფესორებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა. კონფერენცია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მომხსენებელთა ნაშრომები გამოქვეყნდება პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების 2022 წლის დეკემბრის კრებულში „მედიცინა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“.



უნივერსიტეტ გეომედის ადმინისტრაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიმართა პირველკურსელთა წვეულება. შეხვედრის მიზანი სტუდენტების ახალ გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა იყო. ღონისძიება გახსნა და ახალ სტუდენტებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტ გეომედის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. წვეულებას ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესორ-მასწავლებლები.

წვეულება თავისუფალ და მხიარულ გარემოში წარიმართა. გაიმართა ცეკვისა და სიმღერის კონკურსი და სხვა სახალისო თამაშები. წვეულების ბოლოს კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტი დაჯილდოვდა.

2022 წლის 20 ოქტომბერს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ინიციატივით, უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „პრობლემები მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა კვებაში: ანალიზი, დაგეგმვა და მართვა“. ლექციას უძღვებოდა საქართველოს სპორტის მედიცინის ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, ექიმი ნუტრიციოლოგი, პროფესორი - ქეთევან ბერიძე.

ლექცია მოიცავდა ჯანსაღი კვების, სპორტულ ვარჯიშთან დაკავშირებულ ნუტრიციოლოგიისა და ჰიდრატაციის ასპექტების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ლექციის დასასრულს განხილული საკითხის გარშემო გაიმართა დისკუსია.



2022 წლის 12 ოქტომბერს უნივერსიტეტ გეომედს სტუმრობდა კოპერნიკუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ვიცე დეკანი, დოქტორი არანკა იგნასიაკ-სზულცი. მან ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: **“Social and economic consequences of war in Ukraine and sanctions-A view from Poland and the EU”**. გარდა ამისა, ის შეხვდა ადმინისტრაციულ პერსონალსა და აკადემიური საბჭოს წევრებს. შეხვედრაზე განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და ერაზმუს პროექტებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების საკითხები.



23 დეკემბერს უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა - გიგი ხურციდემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პირველადი სუბსტანცია“. მან ისაუბრა სუბსტანციის არსზე, ძირითად სუბსტანციაზე-ელემენტზე, რომელიც სამყაროში არსებული საგნების თავისებურებას განაპირობებს. მოხსენების ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია.

უნივერსიტეტი გეომედი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ატარებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკის ხელშეწყობით ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება გაიმართა სასწავლო დაწესებულება „ალბიონში“, სადაც პირველკლასელებს ჩაუტარდათ გაკვეთილი პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ. მოსწავლეებთან შეხვედრას უძღვებოდა უნივერსიტეტ გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი გიორგი მოდებაძე. უნივერსიტეტი სამომავლოდც გეგმავს მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარებას.



24 ნოემბერს შემოქმედებითი გაერთიანება გიმნასიონის ფარგლებში, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტმა - პაპუნა კაჭკაჭიშვილმა წარადგინა მოხსენება თემაზე: „ენოთერაპია“. ენოთერაპია მკურნალობის მეთოდია, რომელიც სწავლობს ღვინის თვისებებს და მათ გავლენას ადამიანის სხეულის ორგანოებსა და სისტემებზე. მომხსენებელმა ისაუბრა ღვინის დაყენების ძველი ტრადიციებისა და ღვინის - როგორც სამკურნალო საშუალების თვისებების შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. მოხსენების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია.



2022 წლის 11 ნოემბერს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. ტრენინგს უძღვებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი იურისტი - ლილი ტანიაშვილი. მან ისაუბრა მონაცემთა დამუშავების პრინციპებზე, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტის უფლებებზე და ა.შ. ტრენინგი მოიცავდა პრაქტიკულ მაგალითებსა და სავარჯიშოებს, რამაც საშუალება მისცა დამსწრე თანამშრომლებს მოცემული საკითხები პრაქტიკულ ამოცანებზე დაყრდნობით გაეაზრებინათ და შეესწავლათ.